ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების

მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა

კომისის სხდომა N 04

დ. ლენტეხი 15.04. 2025 წ.

მიმდინარე წლის 15 აპრილს დღის 13- საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითთა კომისიიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი, კომისიის წევრები: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მევლუდ ლიპარტელიანი, მარეხ ონიანი, ამირან ქურასბედიანი, სოსო ავალიანი, იურიდიული სამსახურის უფროსი ტუღუ აფაქიძე.

კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების და განსაზღვრის შესახებ"ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 მარტის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ მომხს. საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითთა კომისიის

თავმჯდომარე დალი ტვილდიანი/

2.ლენტეხის N -46 საოლქო სსაარჩევნო კომისიისთვის სარგებლობის (უზურფუქტის) უფლებათა უძრავი ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს. საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი/

1. მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა კომისიის წევრებს გააცნო საკითხი - .ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების და განსაზღვრის შესახებ"ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 მარტის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
   კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღეს გადაწყვეტილება:
   საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61 -ე მუხლის მე-2- პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ „ საქართველოს ორგანული კანონის მე- 20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

შევიდეს ცვლილება „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების და განსაზღვრის შეახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 მარტის N 11 დადგენილებაში და დადადგენილების მე-3 ე პუნქტის „ბ"- ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ბ. მაღაზიები , აფთიაქები, სილამაზის სალონები -10. კვ/მდე ფართი 10-ლარი, 20კვ/მდე 30 ლარი, 20 კვ/მ-ზე ზემოთ 50 ლარი.
შესაბამისად ეთხოვოს საკრებულოს თავმჯდომარეს აღნიშნული საკითხი გაითვალისწინოს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო საკითხი - **ლენტეხის N -46 -ე საოლქო საარჩევნო კომისიისთვის სარგებლობის (უზურფუქტის) უფლებით უძრავი ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საოლქო კომისიას აღნიშნული ფართი გადაცემული ჰქონდა უსასყიდლოდ 12 (თორმეტი) წლის ვადით. აღნიშნულ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა და ცესკოს თავმჯდომარის წერილის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერმა მოგვმართა საკრებულოს ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე.
კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება: საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის „61- ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122 მუხლის შესაბამისად მიეცეს თანხმობა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას ლენტეხის N -46 საოლქო საარჩევნო კომისიის განთავსების მიზნით სარგებლობის (უზურფუქტის) უფლებით უვადოდ, უსასყიდლოდ, დ. ლენტეხში თამა მეფის ქუჩა N 31ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობაში (ს.კ 87.04.24.031) 150. 03. კვ.მ ფართის ცენტრალურ საარჩევნო კომისიისათვის გადაცემაზე. შესაბამისად ეთხოვოს საკრებულოს თავმჯდომარეს აღნიშნული საკითხი გაითვალისწინოს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
კომისიის სხდომა დასრულდა 14:00 საათზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივი

რესურსების

საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/დ. ტვილდიანი/**